

საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების
სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში

ქართველი და საქართველო, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ოსმალურშიც „გურჯი“-და „გურჯისტანად“ იწოდება¹. აღნიშნული ტერმინები XV ს.-დან მოკიდებული თითქმის ყველა ტიპის ოსმალურ წერილობით ძეგლშია ფიქსირებული: სასულთნოს ოფიციალური უამთააღმწერლისა თუ მოყვარული მეისტორიის თხზულება, ისტორიულ-გეოგრაფიულ-კოსმოლოგიური აღწერა, საბრძოლო გამარჯვებათა წიგნი, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ტრაქტატი, მიწერ-მოწერის ნიმუშები, ოფიციალური დოკუმენტები (სააღწერო დავთარი, ჰუქმი, ნამე, ფირმანი, ბერათი, არზა, ბუირულთი, ჰუჯათი და სხვა), მხატვრული სიტყვიერების ნიმუშები — საგმირო ეპოსისა და კლასიკური ლიტერატურის ძეგლები. „გურჯისტანი“ ოსმალთა სულთანთა მფლობელობით ტიტულატურაშიც ჩნდება ხოლმე. ხოლო ნისბით „გურჯი“ არაერთი დიდმოხელე-ვეზირი და ფაშაა ცნობილი.

„გურჯისა“ და „გურჯისტანის“ სემანტიკური ველი და ფიქსირების სიხშირე შეესაბამება იმ ადგილს, რომელიც საქართველოსა და მის ცალკეულ სამეფო-სამთავროებს ეკავა XV—XIX სს-ის ოსმალეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

„გურჯი“ (რამდენიმე ძეგლში كورجستان „გურჯიან“ სპარსული მრავლობითი ფორმითაც გვხვდება) იმდენად ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს „ქართველსა“ და „ქართულს“, რომ საილუსტრაციოდ მაგალი-

¹ თანამედროვე თურქულში „გურჯისა“ და „გურჯისტანის“ პარალელურად ხმოვანთა პარმონიის პრინციპის დაცვით „გურჯუ“ და „გურჯუსტან“ ფორმებიც იხმარება.

ეთების მოტანა და მასზე მსჯელობა ზედმეტად მეჩვენება². მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ „საქართველოს“ მნიშვნელობით ზოგჯერ გამოიყენება შესიტყვება „გურჯი ვილაიეთლერი“ ქართული ქვეყნები: „თორთუმის ციხის ახლოს მდებარე ქართული ქვეყნები (გურჯი ვილაიეთლერი ولايت گورجی ولايتاری) და ალთუნყალას ციხე ერთმა ხათუნმა (დედისიმედმა ცა) დაიპყრო“³. „თუ შემთხვევა მოგვეცემა და გავიმარჯვებთ საქართველოსაც (გურჯი ვილაიეთლერი) დავიპყრობ“⁴. „ისლამის ჯარის ქართველთა ქვეყანაში (ვილაიეთი გურჯი ولايت گورجی) შესვლა“⁵. „ეს წყლები საქართველოს მთიდან (გურჯი დალინდან كورجی طاعندن) მოდის“⁶. ასევე, მხოლოდ რამდენიმე ავტორი „საქართველოზე ლაშქრობა“-ს, ჩვეულებრივ მიღებული „გურჯისტან სეფერი“-ს (گورجستان سفری) ნაცვლად, გადმოსცემს შესიტყვებით „გურჯი სეფერი“ (گورجی سفری) — „ქართული ლაშქრობა“; „ადრე საქართველოს ლაშქრობაში (گورجی سفینه) განწესებულმა ბეგებმა“⁷.

ტერმინი „გურჯისტანი“ ოსმალურ წერილობით ძეგლებში პოლისემიური მნიშვნელობითაა ფიქსირებული⁸. ჩვეულებრივ იგი ეთ-

² გვერდს ვერ ავუვლი ერთ ცნობას, რომელიც XVI ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის დასაწყისში სამხრეთში ქართველთა განსახლებას ასახავს: „ყარამანის ქვეყნიბიდან ერზერუმამდე ოღლანთა შეკრება არაკანონიერია, რადგან მისი მოსახლეობა შერეულია თურქმან, ქურთ და ქართველ ტომებთან گورجی طاعندن მედე-ი канун-и йеничери оджагы Тарихи იანიჩართა კორპუსის კანონთა. წარმოშობის ისტორია, Издание текста, перевод с турецкого, введение, комментарии и и указатели И. Е. Петросяна, М., 1986, с. 164/57.

³ XVII ს-ის ოსმალ ავტორი აბუბეკრიბ აბდულაჰი, ოსმან ფაშას ისტორია, პარიზული ნუსხა, გვ. 13.

⁴ იქვე.

⁵ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიაშ. თბ., 1964, გვ. 38.

⁶ ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 174.

⁷ მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976, გვ. 24/37.

⁸ რაც ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნზე“ მუშაობისას შენიშნა გ. ფუთურიძემ. იხ. ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“ თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, თბ., 1971, ნაკვ. II, გამოკვლევა და კომენტარები, თბ., 1973, გვ. 30—33.

ნიკურ-გეოგრაფიული შინაარსითაა დატვირთული. აღნიშნავს: 1) ქართული ტომებით დასახლებულ მთელ ტერიტორიას, 2) საქართველოს ერთ ან რამდენიმე სამეფო-სამთავროს, ან რომელიმე ქართული ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ მცირე ქვეყანას, 3) იშვიათად იგი „ყოველი საქართველოს“ აღმნიშვნელ პოლიტიკურ ტერმინადაც აღიქმება.

როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზი სამხრეთში ერაყ-ლურისტანი, ხოლო ჩრდილოეთში ამიერკავკასიის ქვეყნები იყო⁹. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ირან-ოსმალეთის ინტერესები საქართველოში მის აღმოსავლეთ ნაწილში ეჭახეზობდა. ირანი თავის „უფლებას“ დასავლეთ საქართველოზე არ აცხადებდა. 1555 წლის ზავით იგი აღმოსავლეთ საქართველოს დასჯერდა. ოსმალეთი კი შემთხვევას არ უშვებდა თავისი „უფლება“ აღმოსავლეთ საქართველოზეც გაევრცელებინა. 1639 წლის ზავით სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დაემორჩილა, ირანს კი „საუფლოდ“ ქართლი და კახეთი დარჩა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, როცა სეფიანთა ირანი ავღანთა შემოსევებით დასუსტდა, ხოლო ჩრდილოეთიდან კასპიის ზღვას პეტრე I მოადგა, ოსმალეთმა არ დააყოვნა და ქართლი თავის „უფლებას“ დაუქვემდებარა. მოვლენათა ამგვარი მსვლელობის შესაბამისად ოსმალთა მეთრონიკითა — სელიანიჩი, მუსტაფა ალი, იბრაჰიმ ფეჩევი, ყარა ჩელები-ზადე, ქათიბ ჩელები, ნაიმა, აბუბექრი, იბრაჰიმ ჩაყუში, სოლაქზადე, მუნეჯიმბაში, ქუჩუქ ჩელები ზადე, გურჯიზადე — თხზულებებში ცნება „გურჯისტანი“ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს, ხოლო იმ ისტორიკოსთა შრომებში, რომლებიც ქრონოლოგიურად 1639—1722 წლებში მომხდარ ამბებს აღწერენ — მეჰმედ რაშიდი, ნამი ალა, ფუნდუქლულუ მეჰმედ ალა, ვასიფი ჩეშმი-ზადე, — ტერმინი „გურჯისტანი“ ძირითადად დასავლეთ საქართველოს გულისხმობს. როგორც ცნობილია, ამ „მშვიდობიან“ პერიოდში (1639—1722 წწ.) ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის აქტიურ პუნქტად ამიერკავკასიის ქვეყნებიდან დასავლეთ საქართველო იქცა.

ოსმალეთი ჩვენს ქვეყანას XV ს-ში გაუმეზობლდა. ინტენსიური, სამწუხაროდ, უთანასწორო პოლიტიკური კონტაქტები კი XVI ს-ში დაიწყო. ოსმალეთის სახელმწიფოს გაძლიერება სინქრონულად საქართველოს პოლიტიკურ დაშლას, მის სამეფო-სამთავროებად დანაწილებას დაემთხვა; როცა ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური ქართული სახელმწიფო ოთხ დამოუკიდებელ ერთეულად — ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიშალა. შესაბამისად „საქართველო“ აღარ წარმოადგენდა ერთ ფეოდალურ მონარ-

⁹ ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 264.

ქიად შეკრულ პოლიტიკურ-კულტურული მთლიანობის აღმნიშვნელ ტერმინს. ქართლი, კახეთი, საამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია (იმერეთის სამეფოს რომ გამოეყო) — აღრინდელი „ყოველი საქართველოს“ ახლა ექვსი ნაწილი, სათითაოდ იყო „საქართველო“, ყველა ერთად კი „საქართველოები“¹⁰. ჩვენი ქვეყნის ეს ისტორიული ვითარება, ოსმალურ წერილობით ძეგლებში უპირველესად ტერმინის „გურჯისტან“ პოლისემიურობით გამოიხატა.

I. გურჯისტანი მეტწილად გაუდიფერენცირებელი შინაარსით, ეთნიკურ-გეოგრაფიული აზრითაა ფიქსირებული: „შენ ცხოვრობ ცუდი სარწმუნოების გურჯისტანის საზღვარზე“ (ეუბნება ურუხ კოჯაყაზანს — საგმირო ეპოსის „დედე ქორქუთის წიგნის“ გმირები)¹¹. „შენი ვაჟი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ქონება გურჯისტანში წავიდოდა“¹². „შეესია გურჯისტანს ჯარი სამასიათასი“¹³. გამოიგზავნა გურჯისტანის ხანების — ლევან ხანის, სიმონ ხანისა და დადიან ხანის მიერ¹⁴, „მისი მფლობელი დავითხანი გურჯისტანის მეფეთა შორის ერთი სახელოვანი მბრძანებელი იყო“¹⁵. მოტანილი მაგალითებიდან მხოლოდ „დედე ქორქუთისა“ და აჰმედის „ისქანდერნამეში“ ფიქსირებული „გურჯისტანი“, მათში აღწერილი ეპოქების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღმნიშვნელ პოლიტიკური შინაარსის ტერმინად. ყველა სხვა მაგალითში, რომლის მსგავსი N რაოდენობისა დაიძებნება, „გურჯისტანი“ ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინია, რასაც კიდევ უფრო ამკვეთრებს მიმართულებისა და მდებარეობის აღმნიშვნელი არაბული წარმომავლობის طار و جانب — 'მხარე' სიტყვების თანხლება: „დიდვეზირს სინან ფაშას საქართველოზე (كوردستان جانب) თავდასასხმელად წასვლა ებრძანა“¹⁶. „ავნიქში მცხოვრები სომეხთა ტომი დაიქსაქსა

10 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი III, თბ., 1966, გვ. 58. შტრ. „სხვათა საქართველოთა შინა“, „გიორგი დაიპყრა საქართველონი“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 744.

11 Dede Korkut Hikayeleri, გამოცემული Orhan Şaik Gökyay, Istanbul, 1976, გვ. 22.

12 იქვე, გვ. 53.

13 ც. აბულაძე, აჰმედი საქართველოში არღუნ ყაენის ლაშქრობის შესახებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 221.

14 تاریخ سلانیکى مصطفى افندى სტამბოლი, 1281, გვ. 165.

15 იბრაჰიმ ფეჩევი, ისტორია, გვ. 17.

16 სულთან სელიმ I, 1515 წლის ბრძანება, Tansel Selahettin. Yavuz Sultan Selim, Ankara, 1964. გვ. 122.

და საქართველოსკენ (كوردستان-جانان) წავიდა“¹⁷. „საქართველოსკენ (كوردستان طرفه) ცნობების გაგზავნისაგან მოცლა არ არის“¹⁸.

II. XVI ს-დან „გურჯისტანი“ საქართველოში შექმნილი რეალური ისტორიული ვითარების შესაბამისად ოსმალურში ძირითადად დიფერენცირებული შინაარსით იხმარება და გულისხმობს საქართველოს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთ „საქართველოს“, „საქართველოებიდან“ ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიას:

1. „გურჯისტანი“ — ასე ეძახდნენ ოსმალები საათაბაგოს¹⁹: — „სერასქერი მანუჩარი გურჯისტანის დამოუკიდებელი ფადიშაჰი გახდა“²⁰. „გურჯისტანის მთავარი ქალაქი, რომელიც ახალციხედ იწოდება“²¹, „თუ ყვარყვარეს დაიმორჩილებთ, მთელი გურჯისტანი იქნება დაპყრობილი, რადგან იგი მისი ბეგების შვილია“²².

1549 წლის სექტემბერში სულეიმან კანუნიმ (1520—1566) დაიპყრო სამცხის დასავლეთი ნაწილი. ჰენრიკ II კი ამ ლაშქრობის თაობაზე წერდა: „გურჯისტანის დაპყრობის შემდეგ ჩვენ ტრიუმფალურად დავბრუნდით ჩვენს დედაქალაქში“²³. 1549 წლის დეკემბრით დათარიღებულ წერილში, რომელსაც სულეიმან კანუნი უგზავნის ფერდინანდ I, ნათქვამია: „ვეზირი აჰმედ ფაშა ყარამანის, რუმის, ზულ-ყადარისა და ერზერუმის ბეგლარბეგებთან ერთად ძლევამოსილი ლაშქრით შეიჭრა „გურჯისტანში“ და შემდეგ აღწერილია თორთუმის (იგი ამ ქვეყნების დედაქალაქად იწოდება) აღჯაყალისა და ნიჰაჰის (შეცდომით აქაც ნიჯაჰი წერია, ჯ და ჯ ნიშნების არევის გამო, იბრაჰიმ ფეჩევისა და ქათიბ ჩელების თხზულებე-

17 რუმის ბეგლარბეგის 1516 წლის არზა, თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 48, 89.

18 იქვე, გვ. 50.

19 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973, გვ. 180.

20 იგულისხმება ყვარყვარე III (1516—1535 წწ.) ბიძა მანუჩარი, რომელიც 1515 წლის ბოლოს აუჯანყდა ნავ-ყვარყვარეს და დაამარცხა იგი. იხ. თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 11.

21 იქვე, გვ. 56/111.

22 იქვე, გვ. 53/102—103.

23 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 65.

ბის მსგავსად) ციხეების ალება²⁴, ე. ი. აღწერილია. ის ბრძოლა, რომლის შედეგად ოსმალთა ხელში გადავიდა სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი. სწორედ ეს მხარე იგულისხმება სულეიმან კანუნის ტიტულატურაში „გურჯისტანის“ სახელით რომ ფიგურირებს²⁵.

სამცხე-საათაბაგოსა და „გურჯისტანის“ იგივეობაზე მსჯელობა, მით უფრო საბუთიანობის გაზრდა სრულიად ზედმეტია, როცა არსებობს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარის“ თურქული ტექსტი, ქართული თარგმანითა და გამოკვლევით²⁶. „დაეთარის“ სათაურსა და კანონთა წიგნის ტექსტში, რომელიც უძღვის რეგიონის ფისკალურ აღწერას, გარკვევით არის აღნიშნული, რომ „თურქები „გურჯისტანს“ უწოდებენ „დაეთარში“ აღწერილ საქართველოს ტერიტორიას“²⁷. ს. ჯიქია „დაეთარის“ ტექსტის წინასიტყვაობაში წერს: სამცხე-საათაბაგოში „ოსმალთა თურქებმა დაამყარეს თავიანთი ხელისუფლება და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“, ე. ი. საქართველოს პროვინცია უწოდეს“²⁸. მაგრამ საქმე ის არის, რომ 1579 წელს სულთან შურად III ბრძანებით თურქთაგან დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი საბეგლარბეგოდ იქცა და იწოდა „ჩილდირის ვილაიეთად“ — ქართული წყაროების მიხედვით ახალციხის საფაშოდ. მცირე ნაწილი კი — ბათუმი, თორთუმი, ისპირი, პატარა არტაანი, ბასიანი გაერთიანდა ტრაპიზონის, ყარსისა და ერზერუმის

²⁴ Anton Schaeudlinger, Die Schreiben Suleymans des Prachtigen an Karl V, Ferdinand I und Maximilian II. Wien, 1983, გვ. 25.

²⁵ „გურჯისტანი“ აგრეთვე დასტურდება სულთან აჰმედ I (1603—1617), მეჰმედ IV (1646—1687) და სელიმ III (1789—1807) მფლობელობით ტიტულატურაშიც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აჰმედ I ტიტულატურაში „გურჯისტანის“ გვერდით არის დასახელებული „თბილისის მხარე“ და „ჩილდირის ვილაიეთი“. სულეიმან კანუნის, აჰმედ I, მეჰმედ IV და სელიმ III სრული მფლობელობითი ტიტულატურა იხ. A. N. Kraft, K. V. Zettersteen. Türkische Urkunden, Uppsala, 1983, გვ. 24; L. Fekete, Einführung in die osmanisch-türkische Diplomatik des türkischen Botmesigkeit in Ungarn, Budapest, 1926; M. Guboglu, Paleografia și diplomatica turco-osmană București, 1958, გვ. 60; T. Baykara, Anadolunun Tarihi Coğrafyasına Giriş, Anadolunun Jdari Taksimatı, Ankara, 1988, s. 93—96.

²⁶ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წიგნი I, თურქული ტექსტი, თბ., 1947; წიგნი II, ქართული თარგმანი, თბ., 1941; წიგნი III, გამოკვლევა, თბ., 1958.

²⁷ დიდი დაეთარი, წიგნი I, გვ. 1.

²⁸ იქვე, გვ. X.

ვილაიეთებში²⁹. XVII ს-ის დასაწყისიდან გურჯისტანის ვილაიეთის ოფიციალური სახელი გახდა ჩილდირის ეიალაიეთი³⁰ (შდრ. 1601 წლის არზა³¹, ჩილდირის ეიალაიეთის ჯაბა დავთარი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს ცია-ში დაცული ოსმალური თიშარ-ბერათები და სხვ.) ოფიციალურმა სტატუსმა საბაბი მისცა საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროების ზედმიწევნით მცოდნე მეცნიერს ფ. მ. ქირზიოღლუს სამცხე-საათაბაგო ყივჩაღურ საბეგლარბეგოდ გამოეცხადებინა და საცილოდ გაეხადა XVI ს-ის ოსმალურ წერილობით წყაროებში სამცხე-საათაბაგოს „გურჯისტანად“ სახელდების ფაქტი³². მაშინ როდესაც თურქი ხალხის ხსოვნაში აქტიური იყო იმის ცოდნა, რომ ჩილდირი „გურჯისტანშია“: „დედის-იმედად წოდებულმა გურჯისტანის მეფე ქალმა“³³, „გურჯის-

29 მ. სვანაძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 125—135. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი 1694—1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანაძემ, თბ., 1979, გვ. 81. ც. აბულაძე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს-ის 80-იანი წლები), მრავალთავი. ტ. IV. თბ., 1989, გვ. 197—203.

30 ეიალეთი, < არაბ. ولاية > პროვინცია, ოლქი > მრ. რ. اقطاع ოსმალეთში XVI ს-ის დასასრულიდან XIX ს-მდე ეიალეთად იწოდებოდა უმსხვილესი სამხედრო სამმართველო, და ადმინისტრაციული ერთეული, ადრინდელი საბეგლარბეგო, იგივე საფაშო, რომელსაც სამთლიანი ვეზირი განაგებდა. ეიალეთებად იშპირია დაიყო მურად III დროს, 1551 წელს. ამ თვალსაზრისს არ იზიარებს პ. ინაღიკი იმ არგუმენტით, რომ იმდროინდელ დოკუმენტებში რეალიზებულია ტერმინები „საბეგლარბეგო“ და „ვილაიეთი“, „ეიალეთი“ კი არა. M. d'Ohsson-ის ვარაუდით, 1591 წელს საბეგლარბეგოს აღმნიშვნელ ტექნიკურ ტერმინად შემოიღეს „ეიალეთი“, იხ. Tolean general de L'imperie Ottoman VII, 277. დოკუმენტურ წყაროებში „ეიალეთის“ პარალელურად იხმარება ტერმინი „ვილაიეთი“, რომელსაც ეტიმოლოგიურად საერთო არა აქვს „ეიალეთთან“.

ولاية > ولي — 'უმაღლესი ხელისუფლება', „მზარე“, ქვეყანა. „ეიალეთმა თანზიმათის ეპოქაში შეცვალა „ეიალეთი“. 1864 წლიდან „ვილაიეთი“ გახდა უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეულის ოფიციალური სახელწოდება. ვრცლად იხ. Encyclopedie de l'islam, ტ. II, 1965, Paris, გვ. 740—743.

31 XVI—XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილურებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, წიგნი I, თბ., 1987, გვ. 754.

32 M. Kirzioğlu, Kars Tarihi, c. I. Istanbul, 1953, s 410; მისივე. Osmanlilarin Kafkas-ellerini Felhi (1451—1590), Ankara, 1976, s. 295, 395.

33 აბუბეკრიბ აბდულაჰი, 32r.

ტანის გამგებელმა საფარ-ფაშამაც³⁴ (ლაპარაკია ჩილდირის ეიალეთის ბეგლარბეგზე ოსმალთაგან საფარ-ფაშად წოდებულ ბექაზე), ახალციხე „გურჯისტანის საზღვრებში მდებარეობს უწინდელი ჩილდირის ეიალეთია“³⁵. „ეს ვილაიეთი ქართველ ტომთა ერთ-ერთი გამგებლის ყვარყვარეს ვაჟის მანუჩარის მემკვიდრეობით მიღებული ადგილსამყოფელი იყო“³⁶. თვით მ. ფ. ქირზიოღლუ იმავე ნაშრომში „გურჯისტანს“ განმარტავს როგორც — ათაბაგის ქვეყანა³⁷.

ისტორიული აჭარა, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაში ხან „გურიელის სახელისუფლოს ეკუთვნოდა“ და ხან სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ საზღვრებში ექცეოდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა მძლავრობის ეპოქაში ორ სანჯაყად დაყოფილი შევიდა ჩილდირის ეიალეთში ზემო აჭარისა (إچاریه) და ქვემო აჭარის (إچاریه سفلی) სახელით. ორივე აჭარა სანჯაყბეგის სახასო მამული იყო 200000 (ზემო აჭარა) და 208955 (ქვემო აჭარა) ახჩა შემოსავლით. საინტერესოა, რომ „ჯაბა დავთრის“ 1729—30 წლების მონაცემებით არის ერთიანი აჭარის სახასო მამულიც 527590 ახჩა შემოსავლით³⁸.

2. გურჯისტანი — ქართლი: „აწყურად წოდებული ეკლესიის წინ ჩამდინარე წყალი გურჯისტანის საზღვარია, რომელიც ვახტანგ მეფის ქვეყანაა“ (გიორგი VIII ძე ქართლში მეფობდა ცოტა ხნით)³⁹. „გურჯისტანის გამგებლის წყეული სიმონის ძმამ“⁴⁰ (ლაპარაკია დაუთ ხანზე). „მისი აღმატებულება სარდლის (ფერჰად ფაშას — ც. ა.) მიერ გურჯისტანის ქვეყანაში 1587 წელს ციხეების (იგულისხმება დმანისი, ლორე, გორი, ახალციხე ც. ა.) აშე-

³⁴ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ქართული თარგმანი, გვ. 330.

³⁵ ქათიბ ჩელები, თარგმანი, გვ. 139. აქ ქათიბ ჩელები მცირე უზუსტობას იჩენს, რაც გ. ალასანიას შენიშნული აქვს, იხ. გვ. 269.

³⁶ იქვე, გვ. 140.

³⁷ M. F. Kirzioğlu, Osmanlıların Kafkas Ellerini Fethi, გვ. 246. შტრ. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, გვ. 77—78; თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 68—69; ნ. შენგელია, კ. ჩეჩელია შვილი, თურქი ისტორიკოსის მ. ფაქრ ად-დინ ქირზიოღლუს ყარსას ისტორია, მაცნე, № 1, 1974, გვ. 170—175.

³⁸ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, გვ. 199. კრცლად ოსმალთაგან დროინდელი აჭარის ისტორიისათვის იხ. ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1948.

³⁹ თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 57.

⁴⁰ تاریخ سلاطین گ. 186. შტრ. გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, თსუ-ს შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 268.

ნება⁴¹. „ირანის ლაშქარმა „გურჯისტანი მთლიანად დაიპყრო“⁴² (იგულისხმება ქართლში როსტომის გამეფება).

3. გურჯისტანი — კახეთი: „თეიმურაზი ხანის ტიტულით დაინიშნა გურჯისტანის სატახტო ქალაქ ზაგემში“⁴³.

1647 წელს ევლია ჩელები დარუბანდიდან თბილისისაკენ წამოვიდა კახეთის გავლით: „მე მწირი შაქის ციხის საზღვრებისაკენ წავედი. სოფელ ზუჭურიაში მივედი. გურჯისტანში, თეიმურაზ ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხანისადმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია“⁴⁴. „იქიდან გზა განვაგრძეთ და ქალაქ „კახეთში“⁴⁵ მოვედით. გურჯისტანშია და ირანის მბრძანებლობაში იმყოფება“⁴⁵. ეს ის ხანაა, როცა კახეთში გამაგრებულია თეიმურაზი, თბილისში კი ზის ირანის შაჰის მერ ქართლის ვალიდ დანიშნული როსტომ ხანი.

4. გურჯისტანი ჰქვია როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ისე მის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს — იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი: „გურჯისტანის მხარეთა გამგებლები — გურიის, დადიანის და იმერეთის მბრძანებლები“⁴⁶. „გურჯისტანის ვილაიეთიდან გურიის, დადიანისა და ბაშიაჩუკის მელიქთა ქვეყნების დიდი წილი შავი ზღვის მიდამოებშია“⁴⁷. „თუ მალაშა ალაშა ინება, გურჯისტანში ამტყდარ შფოთს მალე

41 გ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225/269.

42 მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 161/349.

43 იქვე.

44 ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ქართული თარგმანი, გვ. 292.

*შ. მესხიას აზრით, ქ. კახეთი იგივე თელავია, რადგან XVII საუკუნის კახეთში ერთადერთი ქალაქი თელავი იყო. იხ. III. А. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв., Тб., 1960, გვ. 107—108. კახეთის სამეფოში ქალაქ კახეთს იხსენიებს უ. შარდენიცი. იხ. უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

ჩვენთვის უფრო სარწმუნოა ლ. კილაშვილის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „მოგზაურობის წიგნი“ ფიქსირებული ქ. კახეთი არის კაკი იგივე კახი. ლ. კილაშვილი, კახეთის ქალაქები, თბ., 1980, გვ. 184—188.

45 ევლია ჩელები, გვ. 292.

46 1579 წლის დოკუმენტი, ეუთითებ მ. ქირზიოლლის ნაშრომის მიხედვით, გვ. 328.

47 ქათიბ ჩელები, ქართული თარგმანი, გვ. 222.

მოეღება ბოლო⁴⁸ (იგულისხმება ის ფეოდალური აშლილობა, რომელიც მოხდა XVII ს-ის 60-იან წლებში ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში), „ქუთაისი გურჯისტანის დედაქალაქია“⁴⁹.

XVII ს-ის ოსმალთა პოეტისა და ისტორიკოსის ნამის თხზულება, რომელშიც აღწერილია ყარსის, ერზრუმისა და ახალციხის ფაშების 1663 წლის ლაშქრობა სამეგრელოსა და იმერეთში, იწოდება „გურჯისტანის დაპყრობის წიგნად“⁵⁰. „გურჯისტანის ქვეყნების მოსახლეობიდან მეგრელი, გურული და აფხაზი აჯანყებულები ეს რამდენიმე ხანია უარს ამბობენ ჯიზიას გადახდაზე“⁵¹. ამავე ფაქტის გამო ფუნდუქლულუ მეჰმად აღა წერს: „არზრუმის ბეგლარბეგს ვეზირ ბაიფაშას გურჯისტანის საკითხის მოგვარება, აგრეთვე ჯიზიას აკრეფა ჰქონდა დავალებული“⁵². ეს არის ხანა, როცა დადიანმა და გურიელმა ოსმალეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა და ჯიზია ძღვენით შეცვალა. იმერეთის ტახტი კი არჩილმა დაიკავა. „არჩილმა გურჯისტანის მეფობის ხელში ჩაგდება განიზრახა“⁵³. „გურჯისტანის სანაპიროები-სათვის ალყა რომ შემოერტყათ, ამ დავალებით ფლოტიდან გამოყვეს ორმოცდახუთი პატარა და ორი ჩექთირის ტიპის გემი“⁵⁴.

III. ამრიგად, ოსმალები „გურჯისტანს“ უწოდებდნენ ქართული ეთნოსით დასახლებულ როგორც მთელ ტერიტორიას, ისე მის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს, მხარეებსა და ქვეყნებს — ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს, გურიასა და სამეგრელოს. ამიტომ „ყოველი საქართველოს“, ანუ საქართველოს ერთიანი პოლიტიკურ-კულტურული სახელმწიფოს აღსანიშნავად, რაი ოსმალთა ავტორებს მეტწილად ისტორიული ექსკურსის დროს სჭირდებოდათ, ტერმინი „გურჯისტანი“ არ კმარა და მსაზღვრელად აახლებენ ხოლმე სინონიმური მნიშვნელობის მქონე არაბული წარმომავლობის სიტყვათაგან — „ჯემი“ (جمی), „ჯემლი“ (جملی), „უმუმან“ (عوم), და „თამამან“ (تامان) — ‘მთელი’, ‘მთლიანი’ — ერთ-ერთს!

⁴⁸ ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის მეორე ნახევარში: თსუ-ს შრომები, 250. აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1985, გვ. 121.

⁴⁹ ევლია ჩელები, ქართული თარგმანი, გვ. 301.

⁵⁰ ც. აბულაძე, ნ. შენგელია, ნამის საქართველოს დაპყრობის წიგნი, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VII, თბ., 1987, გვ. 98—103.

⁵¹ მეჰმედ რაშიდი, გვ. 21/35.

⁵² ნ. ჯაქელიძე, ოსმალთა ისტორიკოსი ფუნდუქლულუ მეჰმედ აღა დასავლეთ საქართველოს შესახებ, თსუ-ს შრომები, 250, თბ., 1985, გვ. 156.

⁵³ იქვე, გვ. 157.

⁵⁴ იქვე, გვ. 159—160.

„წარსულში მთელი საქართველოს ქვეყნის (غصوما ولايت كورجستان) მბრძანებელი თამარ დედოფალი“⁵⁶, „მთელი საქართველოს ქვეყანა“ (جملة كورجستان ولايت)⁵⁷, „ძველ დროში ერთი სახელოვანი ფადიშაჰი სრულიად საქართველოს (جميع كورجستانه) მეფე იყო“⁵⁷. ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუ-მაზე“ დართული კავკასიის რუკა დასათაურებულა ასე: „დიდი ნოღაის, ჩერქეზ-აბაზას ტომების მიწები, კავკასიონის, დაღესტნის, შირვანისა და მთლიანი საქართველოს ქვეყნები (مملکتستان مملکتاری تمام), განჯის და ერევნის და ყარსის და ჩილდარის და ერზერუმის ეიალეთების გამოსახულება“⁵⁸.

ჩვეულებრივ კი „გურჯისტანი“ ქვეყნის, სახელმწიფოს მნიშვნელობით არის განსაზღვრული აგრეთვე არაბული წარმოშობის „მემლექეთ“ (مملکت), „მემალიქ“ (ممالک), „ვილაიეთ“ (ولایت) და „დიარ“ (ديار) სიტყვებით: „გურჯისტანი (كورجستان مملکتی) იმ სამ ვაჟს გაუნაწილეს“⁵⁹. „გურჯისტანში ჩილდირად წოდებულ ველზე“⁶⁰, „გურჯისტანის ქვეყნები“ (ممالک كورجستان)⁶¹ „გურჯისტანში (مملکت كورجستانه) იბერთა ტომის მეფე სოლომონი“⁶², „გურჯისტანის ქვეყნებიდან“ (ممالک كورجستاندن)⁶³.

„გურჯისტანის“ მსაზღვრელად „მემლექეთის“ სინონიმურ წყვილად, როგორც წესი, გამოიყენება სიტყვა „ვილაიეთი“: „სულთან სელიმ შაჰი გურჯისტანის ქვეყნის (ولایت و مملکت كورجستان) ერთ მხარეს წავიდა“⁶⁴. „ვილაიეთი“ გურჯისტანის ცალეულ მსაზღვრელად გამოიყენება, როცა „გურჯისტანი“ გულისხმობს საქართველოს ერთ-ერთ ქვეყანას, საქართველოს ერთ მხარეს. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს

⁵⁵ მ უ ს ტ ა ფ ა ა ლ ი كنه الاخبار; В. Д. Смирнов. Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках, С. Петерб. 1903, с. 26.

⁵⁶ იქვე, გვ. 57.

⁵⁷ ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, ისტორია, გვ. 18.

⁵⁸ ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, გვ. 421—422.

⁵⁹ ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, ისტორია, გვ. 19—43.

⁶⁰ მ უ ს ტ ა ფ ა ს ე ლ ი ა ნ ი ქ ი..., გვ. 254.

⁶¹ ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, გვ. 421—422.

⁶² Çeş mi- z a d e M u s t a f a R e ş i d Çeş mi-zade Tarihi, İstanbul, 1954, s. 3.

⁶³ მეკმედ რაშიდის ცნობები..., გვ. 35.

⁶⁴ Код жа Хюсејн, Бедај-ул-Века'-и', издание текста, введение и общая редакция А. С. Тверитиновой, аннотированное оглавление и указатели Ю. А. Петросяна, Москва, т. II, с. 375 а.

ქვეყანას, მხარეს, პროვინციას და არა მტკიცედ განსაზღვრულ უმსხვილეს სამმართველო ადმინისტრაციულ ერთეულს⁶⁵. ასეთი ფუნქცია „ვილაიეთს“ 1864 წლიდან დაეკისრა⁶⁶. შდრ. „იმ ვილაიეთის ვილაეთი მათი დედის, დედისიმედის სახელით ცნობილი ქვრივის რეზიდენციამდე აღწევდა“⁶⁷. ამრიგად, „ვილაიეთით“ ნებისმიერი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიის საკუთარი სახელის განსაზღვრა არ კმარა იმისათვის, რომ იქ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები ვიგულვოთ. ოსმალურ დოკუმენტებსა და ნარატიულ ძეგლებში ოდიში და გურია ვილაიეთებად იხსენიება ხოლმე, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ ერთიცა და მეორეც მალალ პორტასთან მხოლოდ მოხარკეობით იყო დაკავშირებული⁶⁸.

როდესაც „გურჯისტანი“ აღნიშნავს ერთს ან რამდენიმე მომიჯნავე ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიას, მაშინ მას შეიძლება განსაზღვრებად ახლდეს არაბული წარმომავლობის „დიარ“ (ديار) 'ქვეყნები', 'მხარეები' სიტყვა „გურჯისტანთან“ დაკავშირებული სპარსული ან თურქული იზაფეთური კონსტრუქციით: „ყვარყვარეს საგამგებლო გურჯისტანის ქვეყნები (كورجستان ياري) ესენია“⁶⁹ (იგულისხმება ტაო-თორთუმბი, ხახული, ნამირვანი, ოლთისი), „ესენი გურჯისტანის ქვეყნების (كورجستان ديارلرينك) საზღვრებია“⁷⁰ (ჩამოთვლილია ბასიანი, ავნიჭი, საფნიკი, ტაოს ქვეყანა), „არტაანის დაბლობი გურჯისტანის ქვეყნების (ديار كورجستانك) უზომოდ კარგი ადგილია“⁷¹. გურ-

65 XV ს-ში ვილაიეთი ერქვა მცირე სამმართველო ერთეულს. ალბანებისათვის 1431 წელს შედგენილი დაეთრის მიხედვით (იხ. H. Inalcik, Hicri 853 tarihli Şüret-i Defter-i Sancak Arvanid, Ankara, 1954.) ალბანეთის სანჯაყი 9 ვილაიეთად იყოფოდა. XV—XVI ს-ში ვილაიეთი სანჯაყის მნიშვნელობითაც იხმარებოდა: „მანუჩარს ებოძა აწყურის სანჯაყი“ (იხ. მუსტაფა ალი, كنه الاخبار, გვ. 27), მაგრამ „ყვარყვარეს შესაფერისი აწყურის ვილაიეთი იყო“ (იქვე).

66 მ. სევანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI საუკუნეში: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 94—97.

67 მუსტაფა ალი, كنه الاخبار, გვ. 27.

68 ქათბი ჩელების კავკასიის რუკაზე, რომელიც „ჩიჰან ნუმაშია“ ჩაქრული, „აბანასა“ და „მეგრისის“ გვერდით სევანეთიც ვილაიეთად არის დატანილი.

69 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორისათვის, გვ. 54—107.

70 იქვე.

71 იქვე.

ჯისტანის ქვეყნების“ (كوردستان ديارلر بنی) დაპყრობის ავი განზრახვა აქვს“⁷². საუბარია 1617 წელს დატრიალებულ ამბებზე*.

ქვეყნის, მხარის, კუთხის მნიშვნელობით „მემლექეთ“, „მემალიქ“, „ვილაიეთ“ და „ულქეს“ ნაცვლად სიტყვა „იქლიმს“ (ایلی) 'ზონა', 'სარტყელი' — ხმარობს XVII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსი ნამი ალა: كوردستان اقلند 'საქართველოს ქვეყანაში', اجق بلس اقلند 'იმერეთის ქვეყანას'. შაჰნავაზის შესახებ ნათქვამია, რომ მან „თბილისისა და ქართლის იქლიმიდან გამოიყვანა ოცდაათი-ორმოცდაათიათასი ას-ქერი“.

IV. ოსმალურ წერილობით ძეგლებში თითოეული ქართული პო-ლიტიკური წარმონაქმნი „გურჯისტანის“ პარალელურად იხსენიება როგორც თვითსახელწოდებით, ისე გარე სახელით. თქმულის საი-ლუსტრაციოდ მასალის მოხმობას დაეიწყებ მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევისა და ევლია ჩელების ზემოთ დასახელებულ თხზულებებში ფიქსირებული იმ ლეგენდით, რომელიც საქართველოს მეფე-მთავარ-თა წარმომავლობასა და მათი სამფლობელოების სახელებს ეხება**.

ეს არის ერთი ლეგენდის სამი ვარიანტი, რომლის ძირითადი ნაწილი, ანაქრონიზმების მიუხედავად, სავსებით ესადაგება სამეფო-სამთავრო-ებად დაშლილი XVI ს-ის საქართველოს რეალურ ყოფას; ვარიანტუ-

⁷² ნ ა ი მ ა, ისტორია, გვ. 134/152.

* სულეიმან კანუნის ისტორიკოსის ჯელალზადეს თხზულებაში. რომელიც ავტორს ამასიის ზავის დადებიდან 1 წლის შემდეგ დაუმთავრებია. ჩამოთვლილია ვანის, ერზურუმისა და გურჯისტანის ვილაიეთების სანჯაყები. ნიშანდობლივია, რომ ერთ პარაგრაფშია ტრაპიზონის ვილაიეთი და გურჯისტანის ქვეყნები (Diyari Gürcüstan) მ. ფ. ქიზიოლლუს (რომლის ნაშრომით ვსარგებლობ ჯელალზადეს თხზუ-ლების მონაცემებზე მსჯელობისას) „დიარი გურჯისტანი“ მიაჩნია გურია, სამეგრე-ლო, იმერეთის კრებით სახელად, რაც შორსაა რეალური ისტორიული ვითარები-საგან. იმ ხანად დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლე-ბოდა. „დიარი გურჯისტანი“ ძირითადად ერქვა საქართველოს ისტორიულ-გეოგრა-ფიულ ქვეყნებს და არა ქვეყანა-სამთავროსა და ქვეყანა-სამეფოს. „დიარი“ სამეფო-სამთავროებზე მოგვიანებით ვრცელდება (შდრ. ევლია ჩელები — „დიარი-ი გურჯის-ტანში 17 ტომის ქრისტიანი ხალხია“).

** მუსტაფა ალისა და იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებაში შეტანილი ლეგენდის ტექსტობრივი ურთიერთმიმართება გარკვეული აქვს ს. ჯიქიას, იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 116—120. ლეგენდის მონაცემებს დაეყრდნო ლ ა ი ო შ ფ ე ქ ე ტ ე ს ტ ა ტ ი ა შ ი Zur Geschichte der Grusi-ner des 16. Jahrhunderts, Acta Orientalia, ტ. I, 1950, Budapest, გვ. 93—112.

ლეგენდაში გამოვლენილია ტრადიციული ვერსია ქართველ მეფეთა ლეოტიურ წარმომავლობაზე. შდრ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმო-მავლობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 144—145.

ლი სხვაობა კი შეესაბამება ოსმალეთის იმპერიის ტაქტიკურ ინტერესებს საქართველოში და რამდენადმე ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკითხებში ოსმალთა ავტორთა განსწავლულობასაც.

თქმულების მიხედვით საქართველოს მეფენი (XVI ს.) თამარ დედოფლის მემკვიდრენი არიან. თამარს შეეძინება ქალიშვილი (იბრაჰიმ ფეჩევი, ევლია ჩელები), რომელსაც ბაგრატოვნად (بکره اوان) წოდებულ უფლისწულზე გაათხოვებენ. ევლია ჩელები მას ბეგდივანად იხსენიებს. გაჩნდება სამი ვაჟი, რომელთაც გაუნაწილებენ ყოველი საქართველოს (جميع کورجستان) ტერიტორიას. უფროს ვაჟს — მარულას ერგება ქუთაისის ქვეყანა, რომლის ნამდვილი სახელი ბაშიაჩუკის (ი. ფეჩევი)//აჩიკბაშის (ალი, ჩელები) ქვეყანაა. ამგვარად, ბაშიაჩუკის ხალხი ამ დიდი უფლისწულის შთამომავალია და რადგან უფროსი ვაჟის საგვარეულო ბაშიაჩუკის მეფეებიდან იწყება, მის პატივისცემასა და დიდებაში ყველანი ერთსულოვანი არიან. შუათანა სიმონსა და დავუდს (ისინი ლუარსაბის შვილებადაც იხსენიებიან) ერგება თბილისის ქვეყანა, ხოლო უმცროს ვაჟს — კახეთი, რომელიც ლევან მეფის ქვეყანაა (ალი, ფეჩევი). ევლია ჩელები კახეთს არც კი ახსენებს. ალბათ იმიტომ, რომ იმხანად კახეთი ირანის გამგებლობაში იყო. „მოგზაურობის წიგნში“ უმცროსი ვაჟი არის დადიანი, რომელსაც ბალითის ქვეყანა ხვდა წილად⁷³. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, მას მხოლოდ მუსტაფა ალი ახსენებს, ე. ი. ახსენებს ის ავტორი, რომელიც ოსმალეთის აქტიური ქმედების თანადამხდღურია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი წერს: „ალთუნ-ყალას მფლობელის დედისიმედის შვილები ყვარყვარე და მანუჩარი არ არის თამარ დედოფლის მემკვიდრენი. ისინი მირზა ჭაბუკის (მზეჭაბუკის — ც. ა.) შტოს ეკუთვნიან“⁷⁴.

ისტორიულ პირთა სახელებითა და ფაქტებით გაჯერებულ ლეგენდაში მოკლედ ასეა წარმოდგენილი ის ეპონიმები, რომლებიც ქართლის, კახეთის, იმერეთის და სამეგრელოს გარეწოდებად იქცა.

როგორც უკვე ითქვა, ისტორიის ჩარხი ისე დატრიალდა, რომ ოსმალეთს აქტიური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებთან და არა ერ-

⁷³ „მოგზაურობის წიგნის“ ადაპტირებულ გამოცემაში Bağat vilayeti წერია. იხ. Evliva Çelebi Seyahatnamesi, Türkçeleştirilen Z u h u r i D a n ı ş m a n, წიგნი მეოთხე, სტამბოლი, 1970, გვ. 14. თოფქაქის სასახლის ბაღდადის კოლექციის ხელნაწერ ნუსხაში კი ბახთ تاجا წერია.

⁷⁴ كنه الاخبار, გვ. 27.

თან საქართველოსთან. ოსმალურ წერილობით ძეგლებშიც აღბეჭდილია თითოეული მათგანის როგორც თვითსახელწოდება ისე გარე სახელი.

ქართლი ოსმალურში იწოდება: 1) „ქართილ“-ად — „ქართილ ვილაიეთად“, ან „ქართილ ულქედ“⁷⁵ და 2) „თიქლის ვილაიეთად“, ან „მემლექეთად“ (ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის აღნიშვნა მისი ცენტრის სახელით გავრცელებული შემთხვევაა)⁷⁶. შდრ. „ქართლის ოლქის (كارتيل اولك) მფლობელი სიმონ ხანი“⁷⁷, „ქართლის გამგებელი (كارتيل حاكمي) მოურავხანი“⁷⁸, „ქართლზე (كارتيل اوزر) გალაშქრება განიზრახეს“⁷⁹, „ქართლის ვილაიეთში (كارتيل ولايت) არის გუჯარეთად სახელდებული მხარე“⁸⁰, „იმის იქით თბილისის ქვეყანა (مملکت قتي)“⁸¹. „თბილისის ეიალეთი ებოძა გიორგის იუსუფ-ფაშას სახელით“⁸². „თბილისის ხანის ვახტანგ ხანის შვილი“⁸³, „თბილისის ქვეყნის (كارتيل ولايت) თავადთაგან ერასტი ყაფლანიშვილი“⁸⁴. გურჯი-ზადეს ბზხულების სათაურია „თბილისის დაპყრობის წიგნი“, მასში ოსმალთაგან 1723—24 წლებში ქართლის დაპყრობის ისტორიაა აღწერილი.

კახეთი ფიქსირებულია: 1) „ქმახით“, „ქახით“ (قاخ//قاخ) 2) მისი მთავარი ქალაქის — ზაგემის და 3) მფლობელის „ლევან ხანის“, „ლევან ხანის ძის“ ან „ალექსანდრე ხანისა“ და „ალექსანდრე ხანის ძის ქვეყნად“⁸⁵. „მისცეს უმცროს ვაჟს კახეთის ვილაიეთი (قاخ ولايت) რომელიც ლევან ხანის ოლქია“⁸⁵. „კახეთის ყელზე“ (قاخ قسنده) მღე-

75 როგორც ს. ჯიქია შენიშნავს, „ქართილ“ კანონზომიერად თურქიზებული ფორმაა „ქართლი“ სიტყვისა. იხ. ზონტერის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, ენიშკის მოამბე, ტ. III, თბ., 1942, გვ. 236.

76 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 22.

77 მ. სვანიძე, ს. ჯიქია, სულთან მურად III უავგუსტოესი ხელშეკრულება, მაცნე, 1966, № 6, გვ. 232—234.

78 ნაიმა, ისტორია, გვ. 24.

79 ნამი ალა, გუარჯისტანის დაპყრობის წიგნი, გვ. 49.

80 გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975, გვ. 26.

81 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 113.

82 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 61.

83 ს. ჯიქია, აჰმედ III ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბ., 1971, გვ. 279.

84 ც. აბულაძე, ორი ფირმანი ერასტი მღვიანბეგს, მრავალთავი, ტ. IV, თბ., 1975, გვ. 225—226.

85 იბრაჰიმ ფეჩევი, ისტორია..., გვ. 19/44.

ბარე“⁸⁶. „ლევენდის ხანად მყოფი წყეული ალექსანდრეს ოლქს და-
ესხა“⁸⁷. „ზაგემის გამგებლის ლევენდ ხანის შვილი ალექსანდრე უწინ-
დელ სარდალს ამ ადგილზე შეხვდა“⁸⁸, „ზაგემი ქვეყანაა თბილისის
მხარეში; მისი გამგებელი თეიმურაზი იყო“⁸⁹.

იმერეთის თვითსახელწოდება ოსმალურ წერილობით ძეგლებში
არ ჩანს⁹⁰. როგორც წესი, იგი იხსენიება ოსმალური ენის ნორმების
თვალსაზრისით თანაბრად სწორი, „აჩიკბაშ“//„ბაშიაჩუკ“-ის სახე-
ლით⁹¹; შედარებით იშვიათად — მისი სარეზიდენციო ცენტრის ქუ-
თაისის სამეფოს, ან ქუთაისის ქვეყნის სახელით — „იმის იქით ქუ-
თაისის ქვეყანაა“ (كوتاتر مليكي)⁹², „უმტროს ვაჟს ქუთაშის სამეფოს
(كوتاش ملكي) მისცემს“⁹³, „მისცეს ქუთათისის ქვეყანა, რომლის ნამდ-
ვილი სახელი აჩიკ ბაშის ქვეყანაა“⁹⁴.

სამეგრელო ოსმალურ წყაროებში ფიქსირებულია „დადიან“
(داديان) „მეგრილ“//„მეგრელ“ (مگريل//مگرل) „მეგრელისტან“ (مگرستان)
და „ოდიშ“ (اوداش) სახელით. ეს უკანასკნელი, ანუ სამეგრელოს ის-
ტორიული თვითსახელი, იშვიათად გვხვდება და ისიც არაუადრეს
XVIII ს-ისა: „ოდიშის ოლქის მთავარი დადიანი“⁹⁵. „ქართველთა-
გან ოდიშის მთავარი დადიანი და გურიის მთავარი“⁹⁶. ქუთაისის ყა-
ზასადმი დაქვემდებარებულ ოდიშისა და სამეგრელოს ქვეყანაში“⁹⁷,

86 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, გვ. 44.

87 მუსტაფა სელიანიჩი საქართველოს შესახებ, გვ. 273—274.

88 ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე რ ე ვ ი, ისტორია, გვ. 61.

89 ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, გვ. 136.

90 მაკარი ანტიოქელის თხზულებაში, რომელსაც პირობითად უწოდებენ
„ცნობები საქართველოს შესახებ“, ნახსენებია „იმერლები“ თურქული მრავლო-
ბითის ფორმით الميرال. იხ. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ.,
1949, გვ. 87; ქართული თარგმანი თ. მარგველაშვილისა, არმაღანი, თბ.,
1982, გვ. 93.

91 ვრცლად აჩიკბაშ//ბაშიაჩუკის შესახებ იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი
დაეთარი, წიგნი III, გვ. 80—83.

92 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 56,

93 ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე რ ე ვ ი, ისტორია, გვ. 43.

94 ე ე ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, მოგზაურობის წიგნი, ქართული თარგმანი, გვ. 298.

95 Ç e ş m i - z a d e M u s t a f a R e ş i d, Ç e ş m i - z e d e T a r i h i, გვ. 6.

96 იქვე, გვ. 7.

97 ოსმალური წერილობითი წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ,
თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკო-
ნით, ფაქსიმილებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ,
თბ., 1982, გვ. 10.

„ანაკლიის ციხის მიდამოებში მდებარე ოდიშის ქვეყნი.(اودیش ولایتی) მიმართ“. „ოდიშისა და სამეგრელოს ვილაიეთში დანიშნული დადიანის სახელწოდების ქაფირები“⁹⁸.

„მეგრიალ“, „მეგრელისტან“ და „დადიან“ და „ოდიშ“ ტოპონიმები პარალელურად გამოიყენება და თითქმის შეუძლებელია იმის მტკიცედ განსაზღვრა — აღნიშნული ტოპონიმები სემანტიკურად რამდენად ფარავს და სხვაობს ურთიერთისაგან. საქმე ის არის, რომ ერთ ძეგლში „დადიანად“* სახელდებული რეგიონი, მეორეში „მეგრულად“ იწოდება, მესამეში ორივე ერთადაა მოცემული და ზოგჯერ არის ცდუნება იმისა, რომ სინონიმურ წყვილებად მივიჩნიოთ; სხვა ძეგლში აშკარად განსხვავებული შინაარსის ტოპონიმებად და ეთნონიმებად აღიქმება. შდრ.: „გურიის იქით დადიანის ოლქია“⁹⁹, „საჭიროა დადიანისა და გურიელის ქვეყნების (ولایتی دادیان و گورلی) დარბევა“¹⁰⁰. ბათუმის სანჯაყბეგისადმი 1573 წელს გაცემულ ჰუკუმში „მეგრელდადიანი“ წერია: „საქართველოს საზღვრებში წყეული სამეგრელო-დადიანის მხარეში გასაყიდად ზღვით გასული წლიდან 9000 გორდა შევიდა“¹⁰¹, „სამეგრელოს ვილაიეთი ჩემმა ძმამ ალთუნ დადიანმა დაიკავა“, — წერს სამეგრელოს მთავარი დავითი სულთანს 1574 წელს¹⁰². მაგრამ სხვა დოკუმენტში დადიანი და სამეგრელო ერთადაა ნახსენები. „გურიის, დადიანის, სამეგრელოსა და აჩიკბაშის თავადებსა და აზნაურებს გადმობირების აზრის შემცველი წერილით კაცი გავუგზავნე“¹⁰³.

ევლია ჩელებისა და ქათიბ ჩელების თხზულებებშიც „მეგრილ“, „მეგრელისტან“ და „დადიან“ ტოპონიმები ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი, რომ სხვადასხვა ტერიტორიის აღმნიშვნელ ტოპონიმე-

⁹⁸ ოსმალური წერილობითი წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, გვ. 21.

* თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის საკითხების მკვლევარი ბექირ ქუთუქოღლუ ტოპონიმს „დადიანი“ განმარტავს — სამეგრელო იხ. Bekir Kutukoglu; Osmanli-Iran siyasi Münasebelleri, c. I, Istanbul, 1962, გვ. 39. მ. ფ. ქირზიოღლუ კი მას მიიჩნევს სამეგრელოსა და სვანეთის საერთო სახელწოდებად იხ. მ. ქირზიოღლუ, დასახელებული ნაშრომი, გვ. 21, 474.

⁹⁹ თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 113.

¹⁰⁰ ნაიმა, ისტორია, გვ. 316—317.

¹⁰¹ დოკუმენტი გამოქვეყნებულია მ. ქირზიოღლუს მრავალგზის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 410.

¹⁰² იქვე, გვ. 417.

¹⁰³ ც. აბულაძე, ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II შესახებ, ოსუ შრომები 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VII, თბ., 1967, გვ. 170—174.

ზად აღიქმება: „აჩიკბაშის, შავშეთის, დადიანის, გურიელისა და მეგრელისტანის ბეგები ყველანი უსჯულოები არიან“¹⁰⁴, „აჩიკ ბაშს, დადიანს, მეგრილსა და სხვებს ქართველებს უწოდებენ, თითოეულს ცალკე ქვეყანა (اؤل) და გამგებელი (حاکم) ჰყავს. მათ შორის მეგრილ საძრახავი და მდაბიო ტომია. მისი საცხოვრებელი შავი ზღვის სანაპირომდე აღწევს. ხალას ქართველებად აჩიკბაში და დადიანი ითვლება“¹⁰⁵. იმავე გვერდზე თხრობა ასე გრძელდება „დადიანი შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარე აბაზას მოსაზღვრე ქვეყანაა (اؤل)... მისი ერთი მხარე ფოთის მდინარემდე აღწევს. სამეგრელო (مگريل) ნაპიჯეა შავი ზღვის სანაპიროზე იქ, სადაც ფოთის მდინარე შავ ზღვას ერთვის. მისი საზღვრები გონიომდე მიდის“¹⁰⁶. იმავე „ჩიჰან-ნუმაში“ წერია, რომ „აბაზას ვილაიეთი შავი ზღვის ნაპირს აღწევს და მეგრილის ვილაიეთთან მთავრდება“¹⁰⁷, მაგრამ „გონიოს ლივა საქართველოს ფარგლებშია... მის საზღვრებზე იმყოფება გურული და მეგრელი ტომები“¹⁰⁸. ხოლო „ბათუმის ლივა გურიის მახლობლად მდებარეობს“¹⁰⁹. ერზერუმის ბეგლარბეგისადმი 1576 წელს გაგზავნილ ჰუკუმში გურია სანჯაყად იხსენიება, რომელშიც მდებარეობს ციხისძირი¹¹⁰.

საერთოდ ოსმალურ წერილობით წყაროებში გურიის (گورج//گورج) მდებარეობა აღნიშნულია ზოგადად — „საქართველოში მდებარე (მეჰმედ რაშიდი), „საქართველოს ქვეყნებიდან“ (ფუნდუქლულუ მეჰმედ ალა), უკეთეს შემთხვევაში მითითებულია, რომ იგი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით (ქათიბ ჩელები, ჩეშმი-ზადე, მუსტაფა რეშიდი). შედარებით ზუსტად გურიის მდებარეობა განსაზღვრულია XVI ს-ის 30-იანი წლების რელაციაში. იმერეთს. „ქვევით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება“¹¹¹.

ევლია ჩელებიც სამეგრელოს სამხრეთ საზღვრად გონიოს ასახელებს: „ლაზები მდინარე ჭოროხით სამეგრელომდე აღწევენ“¹¹², რად-

104 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნის ადაპტირებული გამოცემა, ტ. I, გვ. 191.

105 ქათიბ ჩელები, ჩიჰან-ნუმა, გვ. 136/406.

106 იქვე.

107 იქვე, გვ. 131/403.

108 იქვე, გვ. 173/431.

109 იქვე.

110 დოკუმენტზე ვუთითებ მ. ფ. ქიზიოღლუს ზემოთ დასახელებული წიგნის მიხედვით, გვ. 419.

111 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 57.

112 ევლია ჩელები, ქართული თარგმანი, გვ. 92.

განაც „გონიო სამეგრელოს მისადგომზეა“¹¹³. მოგზაურს გონიოდან 100 მილის დაშორებით მდებარე სამეგრელოს ხუთი ნავსადგური გემით ერთ დღე-ღამეში გაუვლია და ისე მიუღწევია მდინარე ჩიონამდე¹¹⁴. ამრიგად, ევლიას გურიის მიწაზე ფეხი არ ღუდგამს, მაგრამ საქართველოში მოსახლე ტომების ჩამოთვლისას იგი წერს: „იალბუზის მთის ძირას სამეგრელოს, გურჯისტანის, აჩიკბაშის, შავშეთის, გურიელის, დადიანის ხალხები სახლობენ“¹¹⁵; ხოლო საქართველოს მეფეთა წარმომავლობაზე საუბრისას აღნიშნავს: „ნიმროდიდან წარმომავალ ხალხებში პირველი ებრაელები არიან. მათ შემდეგ ქართველების — დადიანისა და შავშეთის ხალხები. მათ შემდეგ „გურული“, „აჩიკბაშ“ და „მეგრილ“ ხალხია“¹¹⁶. ასე ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს შეიცავს ოსმალური წერილობითი ძეგლები სამეგრელოსა და გურიის პოლიტიკური საზღვრების თაობაზე*.

ასეთივე არაერთგვაროვანი სურათი იკვეთება სამეგრელო-აფხაზეთის ეთნიკურ თუ პოლიტიკურ საზღვრებზე მსჯელობისას. დავიწყოთ იმით, რომ „აფხაზეთი“ „დედე ქორქუთის წიგნში“ აღბეჭდილია Apkaz ფორმით (Apkaza iline ben giderim) და აღქმულია ეთნონიმად¹¹⁷, თუმცა სიტყვა il 'ქვეყანას', 'მხარესაც' აღნიშნავს¹¹⁸.

ოსმალური საისტორიო მწერლობის პირველ ძეგლში, თაჯ ედ-დინ აჰმედის პოემაში „ისქანდერ-ნამე“ აფხაზეთი აღნიშნულია خاخა ფორმით და შინაარსით უნდა ფარავდეს ლიხთიმერეთს¹¹⁹. სულთან მეჰმედ II ტახტზე ასვლასთან დაკავშირებულ 1451 წლის ქრონიკაშიც خاخა

¹¹³ ევლია ჩელები, ქართული თარგმანი, გვ. 94.

¹¹⁴ იქვე, გვ. 96.

¹¹⁵ იქვე, გვ. 273.

¹¹⁶ იქვე, გვ. 287.

* სამეგრელოს ფარგლებში გურიის მოთავსება ჩვენს წყაროთმცოდნეობაში ახსნილია ერთი მხრივ იმ ტრადიციით, რომლითაც მთელი დასავლეთ საქართველო იწოდებოდა ეგრისად. მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ „სამეგრელოს ფართო მნიშვნელობა XVII ს-ში რეალობად რჩებოდა“. იხ. გ. ალასანია, წერილობით წყაროთა ინტერპრეტაციისათვის (დასავლეთ საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1990, გვ. 2—3; მისივე, აბდულ აზიზ ყარა ჩელები ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ, საისტორიო კრებული. ტ. VI, თბ., 1976, გვ. 113.

¹¹⁷ Dede Korkud Hikayeleri, გვ. 95, Книга моего деда Коркуда, Огузский героический эпос, перевод В. В. Бартольда, М.—Л. 1962, с. 49, 115, 142, 143.

¹¹⁸ შდრ. ქართული თარგმანი — „აფხაზთა მხარეს მივაშურებ“, გვ. 89.

¹¹⁹ აჰმედის, საქართველოში არღუნ ყაენის ლაშქრობის შესახებ, გვ. 222.

ფორმა დასტურდება¹²⁰. XVI ს-ის 30-იანი წლების რელაციაში მოხსენიებულია „აფხაზეთის ქვეყნები“ (ایلیا افسخه), რომლის მდებარეობა ასეა განსაზღვრული: გურიის „იქით დადიანის ქვეყანაა სოხუმამდე. იგი ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით კი არის აფხაზეთის ქვეყნები, მთების უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა და დალისტანი დარუბანდამდე“¹²¹.

XVI ს-ის მეორე ნახევრიდან თურქულ ოფიციალურ ენაში ტერმინი „აფხაზ“* თითქმის ქრება და მის ადგილს იკერს უფრო ფართო შინაარსის ტერმინი, აფხაზ-აბაზების კრებითი სახელწოდება „აბაზა“ გრაფიკული გამოსახულებით¹²² ابازا//اسجا თუმც 1560, 1572 წლებით დათარიღებულ ჰუკუმებში¹²³ „აბაზა“ ტერმინია დამკვიდრებული, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდხანს აქტიური იყო იმის ცოდნა, რომ ამ მხარეს „აფხაზეთი“ ერქვა. მუსტაფა ალის „ნუსრეთ-ნამეში“ 1577 წელს მომხდარ ამბებზე საუბრისას افسخه ფორმითაა ფიქსირებული¹²⁴, ხოლო „ჩიპან-ნუმა“-ს ჩანართში გარკვევით არის ნათქვამი: „აბაზი ტომის სახელია, რომელსაც ჩვენს დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ“¹²⁵. ჩანართის ავტორმა აბუ ბექრმა იცის, რომ მისი თანადროული (XVIII ს-ის 80 წლები) „აბაზას“ საზღვრები განსხვავდება აბაზას თავდაპირველი საზღვრებისაგან: „აბაზები შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ჩერქეზების სამხრეთით. მათი თავდაპირველი საზღვრები (ابا ابادا) სოჭიდან კელასურს აღწევდა**. იმ ადგილს სოხუმს

120 ვუთითებ ქირზიოლლუს დასახელებული შრომის მიხედვით, გვ. 1.

121 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 57/113.

*აფხაზეთი ოსმალურში „სოხუმის ქვეყანადაც“ იწოდება. ლალა მუსტაფა ფაშას მიერ 1578 წლის სექტემბერში არეშიდან სტამბოლს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია სოხუმის საბგლარბეგოს შექმნის ფაქტი — გაგრის, ბიჭვინთის და სოხუმის სანჯაყებით (იხ. ალი „ნუსრეთ-ნამე“ 12r). მაგრამ მ. ფ. ქირზიოლლუ შენიშნავს, რომ მან თურქეთის საცავეებში ვერ მოიძია ვერც სოხუმის „თაპირი“ დათარი და ვერც ისეთი წყარო, რომელშიც დასახელებული იქნებოდა სოხუმის ვილაიეთში შემავალი სანჯაყი, ყაზა ან ნაპიე. იხ. ქირზიოლლუ, დასახ. ნაშრომით, გვ. 21.

122 ტერმინ „აბაზას“ კრებითობა ხაზგასმულია „ოსმან ფაშას ისტორიაში“ — იმ „მიდამოებში უამრავი ტომია — ჩეჩენი, ყუმუხი, ჰუკუკი, ყაბარდო, იმათ შემდეგ წყვეული ჩერქეზი, ყველა ეს დასახელებული ტომი უსჯულოა. ზოგი აბაზას მოდგმისაა, ზოგი ჩერქეზებისა“, პარიზული ნუსხა, გვ. 89.

123 M. F. Kirzioglu, გვ. 409, 410.

124 „ნუსრეთ-ნამე“, 39rv. ვუთითებ ქირზიოლლუს ნაშრომის მიხედვით.

** ცნობილია, რომ აფხაზეთის საზღვარმა XVII ს-ის 80-იან წლებში მდ. ენგურზე გადმოინაცვლა.

125 ქათობი ჩელები, თარგმანი, გვ. 133.

უწოდებენ. სოხუმი კი აბაზას თავდაპირველ საზღვრებშია ტრაპიზონიდან სამი დღის სავალ გზაზე¹²⁶. XVIII ს-ის პირველ ნახევარშიც კი, „აბხაზ“ სახელით იხსენიებდნენ თურქები სამეგრელოს ჩრდილოეთ მხარეს¹²⁷.

ევლია ჩელები ტერმინ „აბაზას“ ქვეშ აერთიანებს აფხაზ, ჩერქეზ, ადიღეებს: „აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა (რიონი) და საზღვრის დასასრულია დასავლეთით ორმოცდაორი დღის სავალზე კაფას ვილაიეთის მფლობელობაში მყოფი ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს მდებარე ანაპას ციხის ნავსადგური“¹²⁸. მდ. რიონის აღწერისას აღნიშნავს: იგი ზღვას ერთვის „სამეგრელოსა და აბაზას ქვეყნის შუა“¹²⁹ და იქვე აგრძელებს: „მდინარე რიონი გავიარეთ, მთელი დღე შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ და აბაზას ქვეყანას მივალწიეთ“¹³⁰. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ევლია აფხაზი ტომებიდან პირველ რიგში ასახელებს ჩაჩების ტომს (ჩაჩბა, შერვაშიძეთა საგვარეულო), რომლებიც მდ. რიონის დასავლეთ ნაპირზე სახლობენ და ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ¹³¹. მაგრამ, როგორც გ. ანჩაბაძე შენიშნავს, იმ ხანად ჩაჩბა-შერვაშიძენი სახლობდნენ კოდორსა და ბზიფს შორის¹³². მათ მხარეში მდებარე ნავსადგური ლაქბა ტრაპიზონიდან დაშორებული ყოფილა 300 მილით¹³³, ხოლო ბოსფორის სრუტიდან აბაზას ქვეყანა 1700 მილზეა, მდინარე რიონის შესართავამდე კი 1500 მილია¹³⁴. ასეთ განსხვავებულ ცნობებს შეიცავს დიდი მოგზაურის „წიგნი“, სამეგრელო-აფხაზეთის როგორც გეოგრაფიული ისე ეთნიკური საზღვრების შესახებ (ამიტომაც აკად.

126 ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, თარგმანი, გვ. 132—133.

127 ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი შენიშნავს, რომ Турки и до днесь Северную Мингрелию именуют „Абхаз“. Абаза же есть владение кабардинское по реке Куме“. ვუთითებ გ. პ ა ი ჯ ა ძ ი ს სტატიის მიხედვით, Голос из дали веков, Литературная Грузия, 1990, № 11, с. 191—204.

ვფიქრობ აფხაზ//აბაზა ტერმინთა დადასტურების ქრონოლოგიას დოკუმენტის მტკიცება აქვს აწინდელ აფხაზეთში ჩერქეზულ ადიღეური მოდემის ხალხთა „ჩამოწოლის“ ისტორიისათვის, რაც, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ხანგრძლივი პროცესია და იწყება მონგოლებიდან. იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 593.

128 ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, ქართული თარგმანი, გვ. 97.

129 იქვე, გვ. 96.

130 იქვე.

131 იქვე, გვ. 96, 100.

132 გ. ანჩაბაძე, ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ. საისტორიო კრებული, ტ. VI, თბ., 1976, გვ. 77.

133 ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, ქართული თარგმანი, გვ. 100.

134 იქვე, გვ. 135.

ნ. ბერძენიშვილი მათ „არც ისე ფუძემდებლურს“ უწოდებს)¹³⁵. მდ. რიონი არასოდეს ყოფილა აფხაზეთის არც ეთნიკური და არც პოლიტიკური საზღვარი სამხრეთით¹³⁶. XVIII ს-ის ოსმალურ დოკუმენტებში სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრად დასახელებულია მდ. ენგური და ანაკლია: „გურჯისტანისა და აბაზას საზღვარზე მდებარე ანაკლია“¹³⁷. „გურჯისტანისა და აბაზას საზღვარზე მდებარე ანაკლიისა და რუხის ციხეები“¹³⁸.

ოსმალურ წერილობით ძეგლებში საქართველოს ქვეყნებსა და იქ მცხოვრებ ხალხს მეტწილად საერთო სახელი აქვს, ე. ი. ეთნონიმი ტოპონიმისაგან არ სხვაობს. ერთი კია, სახელის ეთნონიმობას ხაზი ესმება ხოლმე არაბული წარმომავლობის كيا — ‘ტომი’ სიტყვის თანხლებით. კახელები არიან ლევენდის ტომისანი, იმერლები ბაშიაჩუკისა ან აჩიკბაშისა, მეგრელები არიან „მეგრილ“ ან დადიანი*, გურულები — „გურელ“, „გურილ“. სვანები და სვანეთიც ერთი „სვან“ صوان სიტყვით აღინიშნება, ისევე როგორც „აბაზა“ ქვია აფხაზეთსაც და აფხაზსაც. ოსმალურში მხოლოდ მესხისა და ჯავახის სახელი შიიჩქმალა მათი სამკვიდრო ქვეყნის სახელთან ერთად. მარტოოდენ გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება جواخت ჯავახეთი XVI ს-ის 30-იანი წლების რელაციაში და ქათიბ ჩელების „ჯიბან-ნუმაში“¹³⁹. ამასთანავე დადიანი, გურიელი და აჩიკბაში მთავრისა და მეფის აღმნიშვნელი პოლიტიკური ცნებებია, რომლებიც მსაზღვრელი „მელიქისა“ და „ხან“-ის გარეშეც აღნიშნავს ოდიშისა და გურიის მთავრებს და იმერეთის მეფეს: „ამასწინათ, როცა დადიანი გარდაიცვალა და საჭირო გახდა მალაღირსეული ბერათით დადიანის დანიშვნა, ერთი დადიანი გურიელის მფარველობით როსტომ ფაშას მი-

135 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 606.

136 გ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

137 ოსმალური წერილობითი წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, გვ. 357.

138 იქვე, გვ. 91.

* „დადიანს“ ევლია ჩელების წიგნში ტოპონიმის მნიშვნელობა არა აქვს. დადიანი ქვია სამეგრელოს მთავარსა და მის ხალხს: „თათართა ხალხებისაგან გამრავლებული ხალხები შემდეგია: გურჯი, მეგრელი, შავშეთი, დადიანი, აჩიკბაში“ (გვ. 98), „გურჯისტანის, დადიანის, აჩიკბაშის და შავშეთის ტომის ქალები“ (გვ. 269). „შავშეთისა და დადიანის ხალხი უნატიფეს ენაზე საუბრობდნენ (გვ. 297). „დადიანის ხალხის წარმომავლობა“ (გვ. 298).

139 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 56—113; ქათიბ ჩელები, ქართული თარგმანი, გვ. 267.

ერ დაინიშნა და მეორე დადიანი აჩიკბაშის მხრიდან¹⁴⁰. „არც როსტომ ფაშას სიტყვა უნდა მოქმედებდეს და არც აჩიკბაშისა“¹⁴¹, „ქალის აჩიკბაშის ქვეყანაზე გატარებისას აჩიკბაშმა და თეიმურაზმა მოისურვეს გზის ჩაკეტვა“¹⁴².

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საქართველოს მეფე-მთავართა ატრიბუციისათვის. ოსმალთა ავტორები სინონიმური მნიშვნელობით იყენებენ განსხვავებული სოციალური სტატუსის აღმნიშვნელ სიტყვებს — ხანი, მელიქი, ჰაქიმი და ბეგი¹⁴³: „იმ მხარის მელიქის (იგულისხმება ქართლის მეფე ლუარსაბ I) და ბაშიაჩუქის მელიქის (ბაგრატ II) ელჩებისა და მელიქ დადიანისა და გურიის მელიქის კაცებისა და ხარაჯის მოსვლის გამო ვბრძანე“¹⁴⁴. „ქართლის გამგებელი (حاکم) მოურავ ხანი, გურიელი და დადიანი და აჩიკბაში და არაგვის საერისთავოს* მთავრები“¹⁴⁵ (ملکری). ზაგემის მმართველი (حاکم) თეიმურაზ-ხანი, ქართლის მმართველი მოურავ-ხანი, გურიელი, დადიანი და არაგვის ერისთავი (ملکری)¹⁴⁶. „გურიის გამგებელმა (حاکم) წერილი გამოგზავნა“¹⁴⁷. „გამოგზავნილი იქნა გურჯისტანის ხანების სიმონ-ხანის, ლევან-ხანის და დადიან-ხანის მიერ“¹⁴⁸. მაგრამ იგივე ლევან-ხანი, დადიან-ხანი თუ აჩიკბაშ-ხანი „ბეგ“-ადაც იხსენიებიან¹⁴⁹. „შექის ბეგი — ლევან ბეგი“¹⁴⁹, „დადიან-ბეგი ქვეყნის დამამშვენე-

140 სერგი ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 295.

141 იქვე, გვ. 294—295.

142 მუსტაფა ნაიმა, ისტორია, გვ. 190.

143 ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თსუ-ს შრომები, № 250, თბ., 1985, გვ. 119—120.

144 სულეიმან კანუნის ჰუკმი გაცემული 1555 წელს ერზერუმის ბეგლარბეგის სახელზე. ქირაზიოღლუ, დასახელებული ნაშრომი, გვ. 412—413.

* არაგვის საერისთავო ოსმალურ წერილობით ძეგლებში „ყარაყალკანის“ სახელითაა ცნობილი. ვრცლად იხ. ს. ჯიქია, XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი. თსუ-ს შრომები, ტ. 99, თბ., 1962, გვ. 160—163.

145 მუსტაფა ნაიმა, ისტორია, გვ. 24.

146 საქართველოს დაცვის განზრახვით ქურთების ამირებისა და ხან-პისადმი გაგზავნილი სამეფუფეო წერილის პირი, ვ. ჩოჩიევი, მარტყოფის 1625 წლის აჯანყების გამომახილი ოსმალეთში, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბ., 1971, გვ. 245—246.

147 მუსტაფა ნაიმა, ისტორია, გვ. 397. გურიელის „ჰაქიმ“-ად წოდების ფაქტი საეკვოდ მიაჩნია ვ. ჩოჩიევს და შეცდომად უთვლის ლ. ფეკეტეს. იხ. მისი, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 119.

148 მუსტაფა სელლანიქი, გვ. 266.

149 თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 57, 113.

ზელი სამართლიანი მბრძანებელი იყო“¹⁵⁰. მეფეები ტახტზე ასვლისას ამ დადიანისა და აჩიკაშის ბეგების ხელით შემოირტყამენ ხმალს“¹⁵¹. ჩანს, არ არსებობდა მტკიცედ განსაზღვრული ნომენკლატურული სისტემა. ხანი, მელიქი, ჰაქიმი და ბეგი ეწოდებოდა მეფესაც, მთავარსაც და თავადსაც. დიდი მოურავი ხან მელიქად იხსენიება, ხან ხანად და ხანაც ბევად: „ქართლის ჰაქიმი მოურავ-ხანი“¹⁵², „მოურავად წოდებული მელიქი დიდი მელიქი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ქეთხუდად და შაჰ-აბასის მეგობრად იყო ცნობილი“¹⁵³. „საქართველოს ბეგებში კი ყველაზე გამჭრიახი იყო გიორგი-ბეგი, რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის გამოეცხადებინა“¹⁵⁴.

ფერიდუნ ბეგის „მუნშაათში“ იმერეთის მეფის სავალდებულო ოფიციალურ ტიტულად „მელიქი“ არის ფიქსირებული (اجق باش ملكه). მთლიანად, იმერეთის მეფისადმი მიმართვის სტერეოტიპული ტექსტი ასეთია — „მესიის ხალხის ამირებში სახელოვანს, ქრისტიან დიდებულებში გამორჩეულს, ნაზარეველთა მორიგეს აჩიკაშის მელიქს“¹⁵⁵.

მაგრამ, როგორც ჩანს, მიმართვის ნორმები ადვილად ირღვეოდა; აღარას ვამბობთ ნარატიულ ძეგლებზე; ოფიციალურ დოკუმენტშიც იმერეთის მეფე აჩიკაშის ხანად (اجق باش خاى) იხსენიება¹⁵⁶. თვითონ მეფენიც ხანის ტიტულს უფრო „ირგებდნენ“. იმერეთის მეფე გიორგი VI (1703—1720 წწ.) მისი ორენოვანი ბეჭდის თურქულ ნაწილში ხან-ის წოდებითაა წარმოდგენილი (اجوق باش ۱۱۲۸ كركين خان)¹⁵⁷.

ოსმალურ წერილობით ძეგლებში დადასტურებული სიტყვა „მელიქი“ ქართული ისტორიული სინამდვილის შესაბამისად გადმოტანილია „მეფედ“ ან „მთავრად“. (كلى-ის

¹⁵⁰ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თარგმანი, გვ. 298.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² ს. ჭიჭიძე, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. გვ. 236.

¹⁵³ ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 61.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ جمعة منشآت الاسلاطين فرادون بك. სტამბოლი. 1858, გვ. 13. იმერეთის მეფეთა ტიტულატურის ოსმალურ ვარიანტზე საგანგებოდ მსჯელობს ლ. ფეკეტე და შენიშნავს, რომ ოსმალები ზუსტად ასევე მიმართავდნენ პოლონეთის მეფესა და ვენეციელ დოჟებს. იხ. L. Fekete, დასახელებული სტატია, გვ. 112.

¹⁵⁶ შტრ. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის შესახებ, გვ. 170, 172-

¹⁵⁷ ამ ფაქტზე ყურადღება მიმაქციევინა ირანისტმა გ. ბერაძემ, რასაც დიდი მადლობით აღვნიშნავ. იხ. მისი, К. изучению грузинских печатей с двуязычными и многоязычными надписями (XVII—XVIII вв.), Бартольдовские чтения, 1984, Тезисы, Москва, 1984, с. 20.

სალექსიკონო მნიშვნელობა ორივეს იტევს)¹⁵⁸. „აჩიკბაშ მელიქი“ — იმერეთის მეფეა, მაგრამ „მელიქი გურელი“ — გურიის მთავარი* ანუ გურიელი, ხოლო „მელიქი დადიან“ — მთავარი დადიანი. „ხანი“ (خان) ტრადიციულად უთარგმნელად არის გადმოტანილი. „ჰაქიმ“ (حاك) კი თანაბრად შეიძლება იყოს მეფეცა და მთავარიც და მეტწილად თარგმნილია როგორც 'გამგებელი', 'მბრძანებელი', 'მმართველი'.

ეთნონიმის, ტოპონიმისა და პოლიტიკური ცნების უნიფიცირებული ლექსიკური ერთეულით გამოხატვა, ბუნებრივია, ართულებს ავტორისეული ჩანაფიქრის ჩაწვდომისა და მისი ზუსტად თარგმნის საქმეს. მაგალითად, დედე ქორქუთის წიგნიდან — *Meğer Başı-açık Tatyayn kalesinden, Akiska Kalesinden, kafirin casusu varidi*¹⁶⁰ რუსულად აკად. ვ. ბარტოლდი თარგმნის ასე: *Между тем из крепости Даднана с нескрытой головой из крепости Ахалцих вышел разведчик гяуров*¹⁶⁰. იმავე ვ. ბარტოლდს გამოკვლევაში — „Турецкий эпос и Кавказ“ ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი გააზრებული აქვს როგორც „Ахалцих принадлежавший Даднаны“¹⁶¹. ეპოსის ქართულ თარგმანში გვიტხულობთ — „ამასობაში დადიანის ციხიდან ბაშიაჩუკი, ახალციხიდან კი უსჯულოთა მსტოვარი მოვიდა“¹⁶². *اچلي كركر* (მეჰმედ რაშიდის ისტორია) შეიძლება გულისხმობდეს როგორც გურიელის ელჩს, ისე გურიის ელჩს. ასევე „აჩიკბაშის თავადები და აზნაურები“ *اچق باش طواد وازاورلرينه* (მაჰმედ II 1808—1839 წწ. ფირმანი ერზერუმის ფაშას), შეიძლება გავიგოთ როგორც იმერეთის თავადები და აზნაურები, ისე იმერელი თავადები და აზნაურები, ან იმერეთის მეფის თავადები და აზნაურები, ხშირად კონტექსტითაც არ დგინდება ტერმინს ავტორი

158 გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 245.

* და არა მეფე. შდრ. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი II, ბათუმი, 1959, გვ. 67—68. მხოლოდ ერთგან, ხონტქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემულ სიგელში გურიელისა და დადიანის მსაზღვრელად გამოყენებული „მელიქი“ ქართულად თარგმნილია „მეფედ“, ისიც იმიტომ, რომ ჩამოთვლისას „მელიქის“ წინ „აჩიკბაში“ წერია. იხ. ს. ჭიქია, ხონტქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, გვ. 239.

159 *De de Korkut Hikaveleri*, გვ. 97.

160 *Анига моего деда Коркута*, с. 50..

161 იქვე, გვ. 116.

162 დედე ქორქუთის წიგნი, ოლუზურიდან (sic!) თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ე. ჯაველიძემ და გ. შაყულაშვილმა, თბ., 1987, გვ. 90.

იყენებს ტოპონიმის ან ეთნონიმის აღსანიშნავად, თუ სოციალური შინაარსით. ცხადია, ყველაფერი რიგზეა, როცა ტერმინს ახლავს ან ქვეყნისა და მხარის აღმნიშვნელი სიტყვა, ან ტომისა და ხალხის ან სოციალური სტატუსისა (შდრ.: „შევიტყვე რომ გურიის მელიქის სანჯაყში უამრავი კანაფია“¹⁶³).

განსხვავებულ საკითხებზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ მოტანილ მასალაში, როგორც შენიშნავდით, საერთო ის იყო, რომ ნებისმიერი ოსმალთა ავტორისათვის „გურჯისტანია“ როგორც „ყოველი საქართველო“ ისე მისი დაშლის შედეგად წარმოქმნილი თითოეული პოლიტიკური ერთეული თუ ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია. ქართულია ამ ტერიტორიაზე დასახელებული ეთნიკური მასა*. მათ შორის რამდენიმე წყარო აფხაზებსაც ასახელებს: „გურჯისტანის ქვეყნების მოსახლეობიდან მეგრელი, გურული და აფხაზი ყაჩაღები უკვე რამდენიმე წელია უარს ამბობენ ჭიზიას გადახდაზე“¹⁶⁴. „აფხაზი და მეგრელი უსჯულოები სხვა ქართველ ტომებთან გაერთიანდნენ და შეკავშირდნენ“¹⁶⁵. XVIII ს-ის აფხაზი და მეგრელი „უსჯულო ყაჩაღები“ მუდამ ერთად არიან ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში¹⁶⁶.

შორსა ვარ იმის ცდუნებისაგან, რომ გვიანფეოდალური ხანის აფხაზი ტომით ქართველად წარმოვიდგინო. მეგრელებთან „ერთ სულ და ერთ ხორც“ მყოფი აფხაზი საფიქრებელია რომ არის კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის მკვიდრი¹⁶⁷. ამასთანავე აფხაზების ქართველ ტომებში მოხსენიება იმაზე მაინც მიუთითებს, რომ უცხო თვა-

163 1574 წლის ჰუკმი, M. F. Kirzioslu, გვ. 416.

* საოცარია, რომ მეოცე საუკუნის მიწურულის საბჭოთა ეთნოგრაფების შრომებში „ქართველები“, „გურულები“, „თუშები“, „ხევსურები“ და ა. შ. სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულებად არიან წარმოდგენილნი. ნ. ვოლკოვა კავკასიის ხალხებს ასეთი თანმიმდევრობით ასახელებს: „სომხები, ქართველები, იმერლები, მეგრელები, თუშები, სვანები, ფშავლები, ხევსურები, ქურთები, ადიღელები, ნოღაელები, თალიშები, აზერბაიჯანელები. იხ. მისი, Изобразительные материалы как источник изучения материальной культуры народов Кавказа, კრებულში Хозяйство и материальная культура народов Кавказа в XIX—XX вв.: вып. 1, Москва, 1971, გვ. 106. ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური ნაშრომები სათანადოდაა შეფასებული ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნაშრომში. „ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში“, თბ., 1990.

164 მეკმედ რაშიდი, გვ. 21, 35.

165 ოსმალური წერილობითი წყაროები ანაკლიისა და რუხის ცხოვრების შესახებ. გვ. 357.

166 იქვე, გვ. 93, 161.

167 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. გვ. 602—612.

ლისთვის აშკარა ყოფილა აფხაზისა და ქართველის ყოფითი-სტრუქტურისა და სარწმუნოებრივ-ფეოდალური კულტურის-ორგანული ერთიანობა¹⁶⁸.

ამრიგად, ოსმალურ წერილობით ძეგლებში „ქართველი“ და „სა-ქართველო“ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებული-ტერადიციებისამებრ, იწოდება „გურჯი“ და „გურჯისტანად“. აღნიშნული-ტერმინები XV ს-დან მოკიდებული ყველა სახის წერილობით ძეგლშია-ფიქსირებული. ოსმალეთის პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, „გურ-ჯისტანი“ ჩნდება ხოლმე სულეიმან კანუნის, აჰმედ I, მეჰმედ IV და სელიმ III მფლობელობით ტიტულატურაშიც.

„გურჯი“ აღნიშნავს „ქართველსა“ და „ქართულს“. რამდენიმე ავტორი „საქართველოს ქვეყნები“-ს (Грузинские страны) შინაარსით-ხნარობს შესიტყვებას „გურჯი ვილაიეთლერი“ — „ქართული ქვეყნები“ ან „გურჯიან მემლექეთლერი“. ასევე იშვიათად „საქართველოზე ლაშ-ქრობა“ გამოიხატება შესიტყვებით — „გურჯი სეფერი“.

„გურჯისტანი“ ოსმალურში პოლისემიური მნიშვნელობისაა. რო-გორც წესი, იგი ეთნიკურ-გეოგრაფიული შინაარსითაა დატვირთული. „გურჯისტანი“ აღნიშნავს: 1) გაუდიფერენცირებლად ქართველებით-დასახლებულ ტერიტორიას, 2) საქართველოს ერთ — ქართლი, კახე-თი, სამცხე, იმერეთი, გურია, სამეგრელო ან რამდენიმე სამეფო-სამ-თავროს — აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო, ან რომელიმე ქართული ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ მხარეს — ტაო, შავშეთი და ა. შ. 3). იშვიათად იგი ერთიანი. საქართველოს ის-ტორიული სახელმწიფოს ანუ „ყოველი საქართველოს“ აღმნიშვნელი პოლიტიკური ტერმინია და ასეთ შემთხვევაში მას მსაზღვრელად ახ-ლავს არაბული წარმომავლობის „ჯემიჯ“, „ჯუმლე“ ან „უმუმან“, „თამამან“ სიტყვები. დანარჩენ შემთხვევაში კი „გურჯისტანი“ ან გან-საზღვრების გარეშეა ფიქსირებული, ან ახლავს „ქვეყნისა“ თუ „ქვეყ-ნების“ აღმნიშვნელი არაბული წარმომავლობის, — „ვილაიეთი“, „მემლექეთი“, „მემალიქი“ და „დიარ“ სიტყვები (XVII ს-ის ოსმა-ლო პოეტი და ისტორიკოსი ნამი ალა იყენებს სიტყვას „იქლიმ“ — „ზონა“, „სარტყელი“).

თითოეული ქართული პოლიტიკური წარმონაქმნი „გურჯისტანის“ პარალელურად იხსენიება თვითსახელწოდებითაც და გარე კონკრე-ტული სახელით: ქართლი — „ქართლი“, „თიფლის ვილაიეთი“, კა-ხეთი — „ქახთი“, „კახთ“, მეტწილად კი მისი მთავარი ქალაქის „ზა-გემის“ ან მფლობელის ლევან ხანის („ლევანდ ხანის“ ფორმით) ქვეყ-

100 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 602—612; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 19—30.

ნის სახელით; იმერეთი — „ბაშიაჩუკი“, „აჩიკბაში“, იშვიათად — „ქუთათისის ქვეყანა“, სამეგრელო — „მეგრილ“, „მეგრილისტან“, „დადიან“, მოგვიანებით „ოდიშ“; გურია — „გურილ“, „გურელი“ და „გურილე“; აფხაზეთი — აფხაზ“, „აფკაზ“, „აბაზა“.

აღნიშნული ტოპონიმები ატარებს ეთნონიმის მნიშვნელობასაც: „აჩიკბაში“ კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს იმერეთი და იმერელი; „მეგრილ“ — მეგრელი და სამეგრელო, ისევე როგორც „დადიან“, „გურილ“ — გურიაცა და გურულიც, „სვან“ — სვანეთი და სვანი, „აფხაზ-აბაზა“ — აფხაზი და აფხაზეთი. ამავე სახელებს ატარებენ იმერეთის მეფე, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები. ამასთანავე მეფე და მთავარი თანაბრად იწოდება გენეტიკურად სხვადასხვა პოლიტიკური სტატუსის აღმნიშვნელი „ჰაქიმ“, „მელიქ“, „ხან“ და „ბეგ“ სიტყვებით.

ძნელად დასადგენია — „მეგრილ“, „დადიან“ და „ოდიშ“ ტოპონიმები სინონიმური მნიშვნელობით არის გამოყენებული თუ განსხვავებულ ტერიტორიათა აღმნიშვნელი სახელებია. ერთი ცხადია, თანამედროვე აფხაზეთის, სამეგრელოსა და აჭარა-გურიის ტერიტორიული საზღვრების ისტორიულ ჭრილში წარმოსადგენად ოსმალური წერილობითი ძეგლები ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავ, მაგრამ პარალელური მასალის მოხმობით უსათუოდ გასათვალისწინებელ ცნობებს შეიცავს.

Ц. А. АБУЛАДЗЕ

НАЗВАНИЯ ГРУЗИИ И ГРУЗИНСКИХ ПОЛИТИЧЕСКИХ ОБРАЗОВАНИЙ В ОСМАНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ИСТОЧНИКАХ

Резюме

Грузия и грузины в османских письменных источниках по традиции установленной в странах Ближнего Востока, именуются как «Гурджистан» и «гурджи». Термины эти зафиксированы с XV века во всех видах османских письменных памятников. «Гурджистан» (по политическим соображениям) изредко появляется и во владетельской титулатуре султанов Сулеймана Кануни, Ахмеда I, Мехмеда IV и Селима III.

«Гурджи» однозначно обозначает грузин и грузинский. Некоторые летописцы в смысле «грузинские страны» применяют словосочетания «гурджи вилайетлери», // «гурджи мемлекетлери», а «поход на Грузию» — «гурджи сефери» (грузинский поход).

Термин «Гурджистан» полисемантический. Как правило, он этногеографического содержания и обозначает: 1. геонисторическую территорию, населенную грузинскими племенами в целом — не дифференцированно, 2. одно из политических образований Грузии — Картли, Кахети, Имерети, Самцхе, Гурия, Мегрелия, или же нескольких царств и княжеств вместе взятых (Восточная и Западная Грузия), а также малую геонисторическую территорию, как, напр., Тао, Шавшети, и др. 3. редко — государственность исторической Грузии является политическим термином, обозначающим всю Грузию. В данном случае термин «Гурджистан» атрибутирован словами арабского происхождения «джеми», «джумле» или «умуман» (весь, целиком, всецело), в других же случаях — словами (также арабского происхождения) «вилайет», «мемлекет», «дияри» и «ульке» — страна, страны, провинция (в этом значении лишь автор XVII в. Нами применяет слово «иклим» — пояс земли). «Гурджистан» зафиксирован и без всякой атрибуции.

Параллельно с термином «Гурджистан» грузинские политические образования обозначаются как автономии, так и внешними названиями: Картли — Картил и Тифлис вилайети. Кахети — Кяхит, большей частью — именем главного города — «Загем» или же именем царя Левана, сына Александра — «Левенд хан улкеси» — страна Леван хана, Имерети — «Башиачук» // «Ачикбаш», реже «мемлекети Кутаис» — страна Кутаиси, Гурия — Гурел» // «Гурил» // «Гуриле». Мегрелия — «Мегрил», «Дадриан» — «Одиш».

Термины «Ачикбаш» // «Башиачук», «Мегрил», «Дадриан», «Одиш», «Гурил» // «Гуриле», «Апказ» // «Абаза» одновременно являются и этнонимами. Ими же именуются имеретинский царь и владетельные князья (правители) Гурии и Мегрелии. Вместе с тем номинация царя и владетельного князя не дифференцирована, как царь, так и правители именуются словами, генетически обозначающими различный политический статус — Хаким, Мелик, Хан и Бег.

Трудно установить, являются ли «Мегрил», «Дадриан» и «Одиш» синонимичными или различными топонимами. Ясно одно: при изучении территориальных границ Абхазии, Мегрелии и Гурии в историческом разрезе необходимо учесть сведения османских письменных источников, невзирая на их взаимоисключающий характер.

THE DESIGNATIONS OF GEORGIA AND GEORGIAN POLITICAL ENTITIES IN OTTOMAN WRITTEN SOURCES

Summary

Following the tradition established in Near Eastern countries, Georgia and the Georgians are referred to as *Gurji* and *Gurjistan* in Ottoman written sources. These terms are recorded from the 15th cent. in all types of Ottoman written documents. Occasionally *Gurjistan* occurs (for political considerations) in the titles of sovereignty of the sultans Suleiman Kanuni and Selim III.

Gurji unequivocally refers to 'a Georgian' and 'Georgian' (adj.). Some chroniclers use the word combinations: *gurji vilaytleri/gurji memleketleri* in the meaning of „Georgian countries“, while „a campaign against Georgia is referred to as *Gurji seferi* ('Georgian campaign').

The term *Gurjistan* is polysemantic. As a rule it is ethnographic in meaning, designating: 1) the undifferentiated geohistorical territory populated on the whole by Georgian tribes; 2) one of the political entities of Georgia: Kartli, Kakheti, Imereti, Samtskhe, Guria, Megrelia, or several kingdoms and principalities taken together (Eastern and Western Georgia), as well as a minor geohistorical territory, such as Tao, Shavsheti, etc.; 3) rarely it is a political term designating the whole of Georgia. In the latter case the term *Gurjistan* has attributive words of Arabic origin: *lemi*, *jumle*, or *umuman* ('all, the whole of', 'as a whole', 'entirely'). In other cases use is made of the words (also of Arabic origin): *vilayet*, *memleket*, *diyari* and *ulke* ('country', 'countries', 'province'). Only the 17th cent. author Nami uses the word *iklim* 'girdle of the earth' in the latter meaning.

Alongside the term *Gurjistan*, Georgian political entities are designated both by autonyms and by external names: Kartli-Kartil and Tiflis vilayeti, Kakheti-Kyahit, largely by the name of the principal city Zagem, or by the name of Aleksandre's son, king Levan: *levend khan dikesi* "country of Levan the Khan"; Imereti-Bashiachuk//Achykbash, rarer *memleketi Kuatis* "the country of Kutaisi"; Guria-Gurel/Guril, Gurili, Megrelia-Megril, Dadian, Odish.

The terms Achykbash//B-shiachuk, Megril, Dadian, Odish, Guril, Guril//Gurile, Apkaz//Abaza are at the same time ethnonyms. The same are used in reference to the king of Imereti and the sovereign princes (rulers) of Guria and Megrelia. At the same time, nomination of the king and a sovereign prince is not differentiated: both the king and the rulers are referred to by words genetically designating differing political status: *hakim*, *melik*, *khan*, and *beg*.

It is hard to determine whether Megril, Dadian, and Odish are synonymous or different place names. One thing is clear: in studying the territorial boundaries of Abkhazia, Megrelia, and Guria in the historical aspect it is necessary to take account of the evidence of Ottoman written sources, notwithstanding their mutually exclusive character.